ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

25 აპრილი
ხუთშაბათი
2024 წელი
№17 (9332)
ფასი 40 თეთრი

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის განცხადება

ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია გმობს ბოლო დღეებში რამდენიმე მედიასაშუალების ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილ ძალადობას!

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან დღემდე, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, ჟურნალისტები ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის სამიზნეები არიან. **2003-2012 წლებში, არამხოლოდ ცალკეული აგრესიული დაჯგუფებები, არამედ თავად ხელისუფლება იქცა მოძა- ლადედ და რამდენიმე მედიასაშუალების დახურვას, გამომცემლობა „სამშობლოდან"" ათეულობით ჟურნალ-გაზეთის რედაქციის გამოყრას, ტელეკომპანია „იმედის" დარბევა-მიტაცებასა და ფოტორეპორტიორების დაპატიმრებასაც არ მოერიდა.**

ამ ფონზე, როცა პოლიტიკური პოლარიზაცია უკიდურეს ზღვარს აღწევს, ჟურნალისტებიც დაპირისპირების უშუალო მონაწილეებად იქცნენ და ხშირად, საზოგადოებაც ჟურნალისტებს არა ინფორმაციის, არამედ დეზინფორმაციის ალებად აღიქვამს. **ცალკეულ შემთხვევებში ეს აგრესია სწორედ პოლიტიკოსების მიერ იმართება და, შესაბამისად, სერიოზული პრობლემაა ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია გმობს ბოლო დღეებში რამდენიმე მედიასაშუალების ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილ ძალადობას!

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე, ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილი ძალადობა არ დაუგმია საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს!

არადა, ის უპირველესად უნდა იყოს თითოეული მოქალაქის, და მითუფრო ჟურნალისტების უსაფრთხოების გარანტი!

ვგმობთ ნებისმიერი ფორმით ვერბალურ თუ ფიზიკურ ძალადობას, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას და პოლიტიკოსებს მოვუწოდებთ, შეწყვიტონ ჟურნალისტების ინსტრუმენტალიზაცია და პროტესტის გამოხატვის დროს მაქსიმალურად უზრუნველყონ საკუთარი მომხრეებისგან მედიის წარმომადგენლების დაცვა!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე: გიორგი მამაცაშვილი.

პრეზიდიუმის წევრები: ლაშა ნადარეიშვილი, ნანა დევდარიანი, ბონდო მძინარაშვილი, არჩილ გოგელია, აკაკი სიხარულიძე, ნანა ლომაია, გოჩა ხუნდაძე, ჯაბა ხუბუა.

მთავრობის აღმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე

სადაზღვევო სექტორსა და საპენსიო დაზღვევის სფეროში განსახორციელებელი რეფორმები, ენერგეტიკულ პროექტებში დაგეგმილი ინვესტიციები და საპრივატიზაციო გეგმები განიხილეს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

სხდომაზე ყურადღება დაეთმო ენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების განხორციელებას. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა ქვეყანაში ამ კუთხით არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მნიშვნელობას. საბჭომ ჯამურად 500 მეგავატამდე სიმძლავრის ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილებები მიიღო.

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა ასევე იმსჯელეს სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების რეფორმის კონკრეტულ დეტალებზე და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმატიული აქტების დამტკიცებაზე, რომელიც მთავრობას უახლოეს პერიოდში წარედგინება.

დაიწყო სტადიონის განახლება



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს.

ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონზე იმყოფებოდნენ, რომლის რეაბილიტაციაც პირველი აპრილიდან დაიწყო და 18 თვეში დასრულდება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული შენობის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს უმაღლესი ლიგის სტანდარტებს. რეაბილიტაციის შედეგად მოეწყობა: გასახდელები, საკონფერენციო დარბაზი; ჟურნალისტების, ექიმის, დელეგატების, ბურთის ბიჭების, მსაჯის ოთახები, საშხაპეები, სველი ნერტილები და ლიფტები. გადაიხურება ტრიბუნები და VIპ ლოჟა. შენობა სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისათვის.

ამასთან, თვითმმართველობის წარმომადგენლები ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩაზე, ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაციის პროცესსაც გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა ქუჩების მიმდებარე სახლების ღობეები, ჭიშკრები და გარე განათების სისტემა.

გიორგი მამაცაშვილი:
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე

დიახ! ეს ყველაფერი არ იციან ჩვენმა შვილებმა!

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

ჩემი მეგობრის მცირეწლოვან შვილს ამას წინათ, სკოლაში, ,,მე და საზოგადოების" საგანში ასეთი რამ აუხსნეს; პირველი დამოუკიდებლობის შემდეგ, თურმე, სააკაშვილს უხსნია საქართველო და დროშა და გერბი, სწორედ მამინ ღირსებია ჩვენს ქვეყანას, ვერ ვაფასებთ **სააკაშვილის** ამაგსო, - ჩურჩულით დაუყოლებია პედაგოგს.

აი, ესაა უბედურება სწორედ!

ესაა სათავე ყველანაირი ბოროტებისა სა უვიცობისა.

ისე იზრდებიან თაობები, ცხრა აპრილს რა მნიშვნელობის თარიღია, არ იციან.

არ იციან, ან **1989 წელს** რა მოხდა, ან **- 1991 წელს** რის საფუძველზე მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

დიახ, არ იციან, რას ვზეიმობთ 26 მაისს! საუბედუროდ, **რატი ამაღლობელი**სა და პატრიარქის მაგინებელი რამდენიმე ,,უბორნიის პოეტის" შემხედვარეებს, **იოსებ გრიშაშვილისა და იოსებ ნონეშვილის** სახელი არც კი გაუგიათ!

ესაა სიმართლე და მომკალით, თუ გინდათ!

ესაა სიმართლე და ნუ გვიკვირს, პლანით გამძღარი და შუათითგაშეძებული ნაძირალების შემყურეთ, თუ სხვა აზრებითა და აღმატებული იდეებით ველარ ვხიბლავთ.

აბა, ჩემს ბავშვობაში ტელეგადაცემები. დიდი **მერაბ ბერძენიშვილის „ალგეთის ლეკვებს"** კადრებითა და ,,სამშობლოს"" ჰანგებით იწყებოდა და ასეთი იდეოლოგიით გაიზარდა ჩემი თაობა.

ილიათი და **ვაჟათი** გაიზარდა ჩემი თაობა, რაფიელ ერისთავის პოეზია და **ნოდარ დუმბაძის „ვარადა"** იყო ჩვენი „ჯვომოლუნგმა".

დილას წიგნის კითხვით ვიწყებდით და ღამეს „გიორგი სააკაძის"" ცქერით ვასრულებდით.

მეც იმავეს ვიმეორებ ახლა, რასაც მთე- ლი ერი:

არა - ნებისმიერ კანონს, რომელიც ელჩებისა და სენატორების კარნახით იწერება და არა აქვს მნიშვნელობა, რუსული იქნება ის თუ მონღოლური!

არა - სააკაშვილის სისხლიან(ი) რეჟიმს და მერაბიშვილისა და კეზერაშვილის დაბრუნების იდეურ მსურველებსაც ჩემი პროტესტი!

არა - ოკუპანტ რუსეთს და ნებისმიერ ოკუპანტ ქვეყანას!

და მითუფრო, მათგან სისხლს მოწყურებული სვავების გასაძღომად გადმოგზავნილ ფულს!

კი - გამჭვირვალობასა და ევროპულ საქართველოს!

ოღონდ ისეთი ევროპისას, სადაც სულხან-საბას კვლავ წვერით არ ათრევენ და ლუდოვიკოსთან მეთოთხმეტე კაცად არ ჩაწერენ!

კი - ევროპას, მაგრამ უფრო დიდი და ხვავრიელი კი - თავისუფალ, მშვიდობიან, დამოუკიდებელ, სულქართულ და მზექართულ საქართველოს!

ერთიცაა: თუ მაგრები არიან, თავად თქვან რუსულ ფულზე უარი - **ხოშტარიამაც, ნაყოფიამაც, ვაშაძემაც და იმ მერაბიშვილმაც,** რომლისთვისაც „ფულს სუნი არა აქვს!"...

ვერ არიან მაგრები და ვერ იტყვიან!

მიპარვით დარტყმებში არიან მაგრები და **წმინდა გიორგის გინებაში** არიან მაგრები!

ნაძირალები არიან და იმიტომ!

ნაგვები არიან და იმიტომ!

ლაჩრები არიან და იმიტომ!

სვავები არიან და იმიტომ!

სამშობლოს გამყიდველები არიან და იმიტომ!

სამშობლოს მოღალატეები არიან და იმიტომ!

და სამწუხაროდ, ბევრი „იმიტომ" შეიძლება კიდევ დაიწეროს...

ახლა ვინმე მეტყვის, ამდენ ცუდს რატომ იხსენებ, ისინი ცუდები რომ იყვნენ,

იმიტომაც მოიძორა ხალხმაო..

ვერ დაგეთანხმებით. უკან დაბრუნება რომ უნდათ ამ ღორებს, იმიტომაც ვწერ. ამ გაბრიყვებული და დაბოლილი" თაობის გარყვნა და გამოყენება რომ უნდათ უკან დასაბრუნებლად, იმიტომ ვწერ.

ამ ანგელოზ ბავშვებს გადარჩენა რომ სჭირდებათ, იმიტომ ვწერ.

ჩემი შვილების თაობაა და სწორად აღზრდა რომ ჭირდება თითოეულ მათგანს, იმიტომ ვნერ!

პლანით გამძღარი "გირჩელების" იდეოლოგიით რომ იზრდება ბევრი მათგანი, იმიტომ ვნერ.

სკოლაში რომ უნდა საძირკველი, იმიტომ ვნერ.

აქაც ბევრი იმიტომ" შეიძლება დაიწეროს, სამწუხაროდ...

მაგრამ მთავარი სხვა რამეა:

ვერ ეღირსებიან სვავები საკუთარი ბინძური ზრახვების ასრულებას!

ვერ მოანყობენ სისხლიან ,,მაიდანს"" საქართველოში!

ვერ ,,გააპიდარასტებენ"" ერს ვერასდროს!

ვერ ამოიყორავენ სტომაქს ქართველი ხალხის ხორცით!

ვერც განათლებას მოსპობენ ჩვენი შვილების თაობაში.

ვერც ჟურნალისტიკას შებღალავენ ე.წ. ჟურნალისტების კნავილითა და ათასგვარი ცილისწამებით.

ვერც პოლიციას გამოიყვანენ წყობიდან იმ შეურაცხყოფებითა და ზიზღით, რასაც ავლენენ.

რადგან **ეს ქვეყანა ისევ იმ ფესვებზე დგას, რომელზეც იდგა საუკუნეების განმავლობაში!**

და ჩვენც, - **„აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს!".**

დევნილები ახალ კორპუსში განაგრძობენ ცხოვრებას

ბორჯომში მიმდინარე სამშენებლო პროექტებს შორის, ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი, რომელიც ხორციელდება, ახალ უბანში, რობაქიძის ქუჩაზე მიმდინარე 10 სართულიანი კორპუსის სამშენებლო სამუშაოებია, რომელიც 2023 წლის სექტემბერში დაიწყო და დღესაც გრძელდება. სამუშაოებს, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაკვეთით, სამშენებლო კომპანია შპს ,,საბა კონტრაქშენი" ახორციელებს. გაზეთ ბორჯომთან საუბრისას, სამშენებლო სამუშაოების შესახებ, სამუშაოების მწარმოებელმა **ამირან კენკიშვილმა** განაცხადა, რომ სამუშაოები ყოველდღიურად მიმდინარეობს და საბოლოოდ კორპუსი, დასრულებული სახით, 2025 წლის 28 დეკემბერს უნდა ჩაბარდეს. სამუშაოების ჯამური ღირებულება 14 მილიონამდე ლარს შეადგენს და ბორჯომის გარდა, კომპანია დევნილებისთვის ქუთაისში ერთ კორპუსს, ხოლო რუსთავში ოთხ კორპუსს ააშენებს. კომპანია ,,საბა კონტრაქშენი" ბორჯომში, დევნილების კორპუსის გარდა, ას მილიონამდე ღირებულების სამუშაოებს განახორციელებს, რომელიც ქუჩების, შენობებისა და მდინარე ბორჯომულაზე არსებულ სამუშაოების განხორციელებას გულისხმობს. რაც შეეხება თვითონ კორპუსს, ის 150 ოჯახისთვის იქნება განკუთვნილი. რაც შეეხება ოთახების რაოდენობას, ერთოთახიანი ბინების რაოდენობა - 64, ოროთახიანის - 75, სამოთახიანის - 10, ხოლო ოთხოთახიანის - 1 იქნება. ბინების ჯამური ფართი შეადგენს-7960კვ.მ, ხოლო განაშენიანების ფართი-11710კვ.მ.-ს. 2025 წლის ბოლოს დევნილები ახალ კორპუსში გააგრძელებენ ცხოვრებას.

საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია

მიმდინარე წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალდაბაში, სასმელი წყლის შიდა ქსელის და ე.წ „სადგურის" უბანში" საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდება.

ახალდაბაში სასმელი წყლის შიდა ქსელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 1.53 კმ მონაკვეთზე. ასევე, დაგეგმილია, „სადგურის" უბანში" დაზიანებული საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, მოეწყობა საკანალიზაციო ჭა.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

აღმშენებლობის პერიოდი ბორჯომსაც ეწვია!

მოკლედ სკოლის ისტორიიდან

გულწრფელად გეტყვით, გავიხარე, როცა ამ რამდენიმე თვის წინათ ბორჯომის №6 საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

ყოველ დილით, როცა ავტობუსის გაჩერებაზე ვდგავარ, მზერა სკოლისკენ მაქვს მიპყრობილი. მშენებლებმა რამდენიმე დღეში სკოლის შენობას მოძველებული სახურავი გადახადეს და ორიოდე კვირაში შენობა ახალი სახურავის ქვეშ მოაქციეს, მერე საკლასო ოთახებს ჩამოხსნეს კარ-ფანჯრები, იატაკი აყარეს და პარალელურად კედლების ღესვა დაიწყეს. ახლა საკლასო ოთახების ტიხრებია დარჩენილი და იატაკიც დაიგება...

ბორჯომში თუ რამ კეთდება, ყველაფერი მიხარია, რადგან შენება, განახლებას, წინსვლას, უკეთეს მომავალს ნიშნავს და... ტკბობა ხომ შენებაშია.

განსაკუთრებით მახარებს ჩემი სკოლის განახლების სამუშაოები. მე ამ სკოლაში ვსწავლობდი. ომი ახალი დამთავრებული იყო. უმრავლესობის მსგავსად ჩვენს ოჯახსაც უჭირდა. არაერთხელ მითქვამს, მძიმე ბავშვობის წლები გამოვიარე.

მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა რკინიგზის სკოლის (იმჟამად რკინიგზის №15 სკოლა) ბარაკული ტიპის ერთსართულიანი შენობა დაანგრიეს და ახალი სკოლის აშენება დაიწყეს, არდადეგების პერიოდში მე და ჩემი მეზობელი რუბენ მანუკიანი დამხმარე მუშებად მიგვიღეს და თითოეულს თვეში 100-100 მანეთს გვიხდიდნენ, თუ ცემენტის ვაგონს დავცლიდით 150-150 მანეთს გვაძლევდნენ. ვაგონის დაცვა მეტად ძნელი პროცესი იყო. სკოლის მშენებლობაზე ორი წელი ვიმუშავე. 1958 წელს დამთავრდა მშენებლობა და 1959 წელს ახალ სკოლაში პირველი გამოშვება ჩვენი კლასი იყო. შეამაყებოდა ჩემი სკოლის მშენებლობაში წვლილი რომ მქონდა შეტანილი. მერე სკოლის ეზო იყო მოსაწესრიგებელი და იმ სამუშაოებშიც მივიღე მონაწილეობა. მიხარია, რომ სკოლის ეზოში ჩენი დარგული ნაძვის ხეები დღესაც თავს იწონებენ.

იმ წლებში სკოლის დირექტორი ქალბატონი **მარგო სარალიძე** გახლდათ, სასწავლო ნაწილის გამგე ომის ვეტერანი მიხეილ შამელაშვილი იყო, კლასის დამრიგებელი - **ოლია ზამბახიძე**, ქართულის მასწავლებელი - **ნინელი მაჭარაშვილი**, მათემატიკის - **თამარ თედიაშვილი**, ფიზიკას - **გრიგოლ ხარაიშვილი**, რუსულს **გენადი ცქიტიშვილი** გვასწავლიდა. მართლაც შესანიშნავი პედაგოგები გვყავდა. სამწუხაროდ, ჩემი მასწავლებლებიდან დღეს ცოცხალი აღარავინაა, ჩემდა საამაყოდ მხოლოდ მშობლიური სკოლა დგას მყარად და მიხარია, რომ სექტემბერში დღევანდელი მოსწავლეები ფაქტიურად, განახლებულ სკოლაში გააგრძელებენ სწავლას.

და აი, სათქმელსაც მივადექი, მშობლიურ სკოლას რეაბილიტაცია აშენებიდან 65 წლის შემდეგ უტარდება.

მშენებელმა ასეთი უნდა

სკოლის რეაბილიტაციის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში ცნობილმა სამშენებლო ფირმამ ,,**საბა კონტრაშენმა**" (ფირმის დირექტორი **ლევან თარგამაძე**) გაიმარჯვა, ხოლო სამუშაოები საერთო ხელმძღვანელია ახალგაზრდა და ენერგიული ინჟინერი **ვლადიმერ გათაშვილი**, რომელსაც ხაშურში, ქარელში, თბილისში და სხვაგანაც არაერთი ობიექტის რეაბილიტაციას თავი წარმატებით გაართვა.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად ტენდერში გამარჯვებული ფირმა თვითონ ასრულებს ობიექტის რეაბილიტაციის პროექტს. ეს კი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მშენებლობის ხარისხს.

სკოლის რეაბილიტაცია-განახლებაზე 3 მილიონ 600 ათასამდე ლარი დაიხარჯება. კეთილმოეწყობა 13 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის და სასწავლო ნაწილის გამგის, სამედიცინო პუნქტის, მანდატურების კაბინეტები, სპორტდარბაზი, სველი წერტილები, შშმ პირებისათვის სპეციალური ლიფტი დამონტაჟდება.

დღემდე შენობა მთლიანად გადაიხურა, სამ სართულზე მთლიანად შეიცვალა იატაკის კონსტრუქცია, კოჭებს შორის მანძილი შეივსო წიდით, ოთახებში - ლამინატის დაიგება დაიწყეს.

პროექტით სკოლის უკან საყრდენი კედლის აშენებაა გათვალისწინებული, მოწესრიგდება კანალიზაცია, შენობაში დამონტაჟდება წყლის ახალი სისტემა, გათვალისწინებულია ეზოს კეთილმოწყობაც.

მშენებლობაზე 30 ხელოსანია დასაქმებული, 12 მუშა ბორჯომელია, კვალიფიციური ხელოსნები მოწვეული ყავთ მარნეულიდან, ზუგდიდიდან, ქარელიდან, თბილისიდან, რომლებიც დაქირავებულ ბინებში არიან განაწილებულები.

სკოლისათვის ახალ ავეჯს სხვა ფირმა შემოიტანს, დაგვაიმედა ბატონმა ვალადიმერ გათაშვილმა.

როგორც სამუშაოთა ხარისხის ზედამხედველმა **თამაზ ლაფაჩა** გვითხრა, სკოლის რეაბილიტაცია გეგმით ოქტომბრის ბოლოსაა გათვალისწინებული, მაგრამ მშენებლებს იმედი აქვთ, ახალ სასწავლო წელს მოსწავლეები სექტემბერში დაიწყებენო, აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებლებისათვის სამუშაოთა ხარისხის დაცვა უპირველესი საზრუნავია.

№6 საჯარო სკოლას პარალელურად ფირმა დვირის სკოლის რეაბილიტაციასაც ასრულებს. ამ სკოლის რეკონსტრუქციაზე 2 მილიონ 400 ათასი ლარი უნდა დაიხარჯოს. დვირის სკოლაზეც დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი, როგორც ბატონმა ვლადიმერ გათაშვილმა გვითხრა, ბაკურიანის სკოლის მშენებლობასაც ალბათ ჩვენ დავიწყებთო. დამეთანხმებით, ერთდროულად ბორჯომში ორი სკოლის რეაბილიტაცია და ერთი ახალი სკოლის მშენებლობა არასდროს ყოფილა. დღევანდელი ვითარება ნამდვილად აღსანიშნავია და წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

განახლებული ინფრასტრუქტურულ პროექტები

სკოლის რეაბილიტაციის გარდა ზემოთ აღნიშნულმა საამშენებლო ფირმამ ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტების აღდგენის ტენდერშიც გაიმარჯვა. როგორც შევიტყვეთ, რეგიონალური განვითარების ფონდიდან ბორჯომი იმ ათ მუნიციპალიტეტშია დასახელებილი, სადაც საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს. ამ მიზნით ბორჯომში სამი წლის მანძილზე 100 მილიონი ლარის სამუშაოები შესრულდება. ამავე გეგმით 35 მილიონი ლარი დაიხარჯება მინნყლების პარკის განახლებისათვის.

რომელი ობიექტების მშენებლობას ან რეაბილიტაციაზე საუბარი?, - ვეკითხები სამუშაოთა მწარმოებელს **ვალადიმერ გათაშვილს.**

- მთელი რიგი სარეაბილიტაციო ობიექტების ფასადების სამუშაოები სკოლის

რეაბილიტაციის პარალელურად მიმდინარეობს, ასე მაგალითად, კარგა ხანია რაც რუსთაველის ქუჩაზე დავიწყეთ ხუთი შვიდსართულიანი საცხოვრებელი ბინების გარე ფასადების რეაბილიტაცია (დათბუნება, ღესვა, ღებვა).

ქალაქის ცენტრში არსებული ,,ციცინათელას" შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და აქ სამუშაოები ძეგლთა დაცვის სამსახურის წარმომედგენლებთან ერთობლივად გადაწყდება.

ერეკლეს ქუჩაზე დაწყებულია რკინიგზის ხაზის მომიჯნავე საყრდენი კედლის მოპირკეთების სამუშაოები, ასევე მონესრიგდება 16 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადი, დაინგრევა 35 წლის წინათ დაწყებული საცხოვრებელი ბინის ჩონჩხი, რომელიც ნამდვილად აუშნოებს ქალაქს, მის ადგილზე მოეწყობა ბავშვთა გასართობი მედიათეკა და ატრაქციონები.

დაწყებულია მდინარე ბორჯომულას კალაპოტის გაწმენდის სამუშაოები, რომელიც სასტუმრო ,,ქროუნპლაზადან" რკინიგზის ხიდამდე გაგრძელდება. მოიჭრება მდინარის კალაპოტში არსებული ხეები, გამაგრდება მდინარის ნაპირსამაგრი კედლები, რამდენიმე ადგილზე კედლებზე გადადგმულ ფართობებზე მოეწყობა სავაჭრო ფარდულები.

ქალაქის სამ ქუჩაზე (9 აპრილის, გამსახურდიას და კოსტავას ქუჩებზე) არსებულ ისტორიულ შენობებს ჩაუტარდებათ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ბატონო ვლადიმერ, დამეთანხმებით ამ უაღრესად ფართომასშტაბიანი და შრომატევადი სამუშაოების შესრულება ადვილი ნამდვილად არაა, როგორი იქნება თქვენს მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი, რამდენ წელს გაუძლებს?

- ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოები მინიმუმ 10-15 წელს გაუძლებს, ამის პირობას ნამდვილად გაძლევთ.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, რედაქცია პერიოდულად თვალს მიადევნებს ჩვენი ქალაქის განახლების სამუშაოებს.

ვალერიან ლომიძე

წერილი რედაქციას

როდემდე გაგრძელდება პაციენტთა აბუჩად აგდება?!

ბორჯომის საავადმყოფო, მთელი ქვეყნის მასშტაბით პროფესიონალი და საკუთარ საქმეზე შეყვარებული ექიმების სიმცირეს არასდროს განიცდიდა. წლების მანძილზე ისინი სწორედ საკუთარი საქმისა და პაციენტების უსაზღვრო სიყვარულით მოვიდნენ დღემდე. თუმცა, ექიმების ჩვეული მუშაობის სტილი მას შემდეგ შეიცვალა, რაც ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს ყველა ძირითადი განყოფილება ბორჯომის ყოფილი პროფესიული სასწავლებლის დანგრეული შენობის ადგილას ამენებულ მცირე ფართის მქონე შენობაში გადმოვიდა. დიახ, ბორჯომის ,,ჯეოჰოსპიტალსის" შენობა გარედან თითქოს ვიზუალურად ძალიანაც დიდი ჩანს, თუმცა, არც ერთი განყოფილების ექიმი არ გრძნობს თავს კომფორტულად იმ სივრცეში, სადაც ის მუშაობს, ალბათ, საუბარიც კი ზედმეტია იმაზე, რომ მას ნორმალურად მუშაობის ხალისი ჰქონდეს. არ თქვათ, რომ მხოლოდ პაციენტები ვამჩნევთ ექიმების არაკომფორტულ მუშაობას იმ სივიწროვეში, რომელშიც უკვე წლებია იმყოფებიან. არ იდარდოთ, აქ არც პაციენტების კომფორტზე ზრუნავენ, რადგანაც კვირის დასაწყისში ხომ ,,ჯეოჰოსპიტალსში" შესვლაც ხომ წარმოუდგენელია, აქ ჯანმრთელობის პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად დიდია. ისინი არიან როგორც მუნიციპალიტეტის ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაც.

ვიღაც რეგისტრატურასთან დგას, ვიღაც მისთვის საჭირო ექიმთან

მიღებაზე რიგში, ვიღაც დაზღვევის ექიმთან და ვიღაც კიდევ ლაბორატორიასთან. ყველაზე სამინელება კი არის ის, რომ ხშირად ერთ ადამიანს, რამდენიმე ფრონტზე უწევს ყოფნა, რადგანაც რეგისტრატურაში გავლის შემდეგ საჭირო ექიმთან შესულს, დაზღვევა თუ გაქვს მასთან გინევს შესვლა, სადაც უამრავი ადამიანი დგას რიგში და 12 საათზე ადრე შესამლოა ლაბორატორიაში ვერც კი მოგიწიოს შესვლამ და თუ დიაბეტით დაავადებული ხარ, მითუმეტეს, რომელსაც ანალიზის ჩაბარება უზმოდ გიწევს, ფაქტიურად, 12 საათზე შესული ან ნერვიულობით ხდები ცუდად, ან დიაბეტის აწეული მაჩვენებლით. ერთადერთი ნათელი სხივი ,,ჯეოჰოსპიტალში" ლაბორატორიული განყოფილებაა, სადაც გადაღლილი, თუმცა ყველაზე გულისხმიერი ექიმ-ლაბორანტები გვხვდებიან, რომლებიც პაციენტებს კიდევაც გვამშვიდებენ და საკუთარ საქმესაც პირნათლად ასრულებენ.

ცალკეა სამშობიარო განყოფილება, თუმცა თერაპიულ განყოფილებაში ადგილის უქონლობის გამო, სწორედ სამშობიარო განყოფილება იფარებს თერაპიულ პაციენტებსაც. უბრალოდ სირცხვილია, როდესაც ამხელა რაიონული საავადმყოფოს შენობა გვქონდა, იყო ცალკე პოლიკლინიკა, სამშობიარო, იხფექციური განყოფილება, სადაც ყველა განყოფილებას საკმარისი სამუშაო ფართობი ჰქონდა დაკავებული, თუმცა დიდი ხანია ოთხსართულიანი პოლიკლინიკის შენობაში არსებული ფართი სხვადასხვა კერძო პირებს აქვთ დაქირავებული. ანალოგიურად არის იმავე პოლიკლინიკის პედიატრიული განყოფილებაც. პედიატრიული ვახსნეთ და თითქმის მეექვსე თვეა, რაც პედიატრიულ განყოფილებას მხოლოდ ერთი პედიატრი, ლია ხულმატაშვილი ყავს, რომელიც დილიდან საღამომდე იღებს პატარა პაციენტებს. რომ გინდოდეს, თვალის ექიმს ვერ იპოვი კლინიკაში. თუ არადა, შესანიშნავი ექიმი ემსახურებოდა ბორჯომს - კახა ჟვანია, თბილისელმა კაცმა სრულიად უცხო რაიონში, საკუთარი ცხოვრების ნახევარზე მეტი გაატარა, საკუთარი საქმისა და პაციენტების უსაზღვრო სიყვარულით და იმის გამო, რომ ამ ადამიანს მუშაობის ნორმალური პირობები აღარ ჰქონდა შექმნილი, ბორჯომიდან ნავიდა. სამაგიეროდ, ზესტაფონიდან ჩამოდის თვალის ექიმი ორ კვირაში ერთხელ. მის კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმში ეჭვი არც არავის გვეპარება, მაგრამ როდესაც გამოუვალი მდგომარეობა არსებობს და პაციენტის თვალის ჩინს საფრთხე ემუქრება, ორი კვირა მოცდა შეიძლება? უამრავი პენსიონერი ვართ, ასაკოვანი ადამიანები, რომელთაც მხედველობის პრობლემა გვაქვს და თვალის ექიმს ვსაჭიროებთ. გვითხარით, რატომ უნდა გვიწევდეს თბილისში ან ნაშურში სიარული ამის გამო? კახა ექიმის მსგავსად იმის გამო, რომ არც პირობები აქვთ ექიმებს და არც იმდენი გასამრჯელო რომ იმუშაონ, კერძო კლინიკებში გადადიან, სადაც პირობებსაც უქმნიან და იქ, ექიმებს მუშაობის ხალისიც აქვთ. რატომ უნდა გვქონდეს იმის ფიქრი და შიში, როდესაც ვითარება მოითხოვს რომ ჩვენთვის საჭირო ექიმი არ დაგვხვდება, იმის გამო, რომ ის იმ კონკრეტულ მომენტში კლინიკაში არ იმყოფება იმის გამო, რომ სხვა ადგილზე მუშაობს. ჩვენ კი ამის გამო უკეთეს შემთხვევაში ხაშურში ან უარეს შემთხვევაში თბილისში უნდა ვიაროთ. რამდენჯერმე ვთხოვეთ გაზეთ ,,ბორჯომის" რედაქციას, რომ იქნებ ჩვენი გულისტკივილი გაზეთის ფურცლებზე გადაეტანათ და კითხვებით მიემართეთ შესაბამისი სამსახურისთვის და პასუხიც მივიღეთ, რომ მიმართეს, თუმცა ვხედავთ, რომ რეაგირება ჯერჯერობით არავის მოუხდენია. თუმცა ახლა, ჩვენ მაინც იმედს ვიტოვებთ რომ იქნებ ჩვენი გასაჭირის შესახებ სხორედ გაზეთის ფურცლებიდან ამოიკითხონ მათ, ვისაც ეხება და საკითხის გადაჭრის გზებზეც ეფიქრონ.

უდიდესი გულისტკივილით ბორჯომის მოსახლეობა!

რედაქციისაგან: ვადასტურებთ, რომ ჩვენმა მოსახლეობამ არაერთხელ მოგვმართა თხოვნით, რომ შესაბამის სამსახურისთვის ვისაც არსებული საკითხის გადაჭრა ხელეწიფება, მიგვემართა და გაზეთმა ,,ბორჯომმაც" ბორჯომის ,,ჯეოპოსპიტალსის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ოლიკო ბუაჩიძეს მიმართა, რომელსაც მოსახლეობის კითხვები გადავუგზავნეთ და მან, პასუხის ნაცვლად, ჩვენი კითხვები ,,ჯეოპოსპიტალსის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელთან გადაამისამართა. სამწუხაროდ, მეორე თვეა პასუხი არ მიგვიღია. კითხვების გაგზავნიდან რამდენიმე ხანში, ქალბატონ ოლიკოს რამდენჯერმე კიდეც დავეკონტაქტეთ, თუმცა ამბობს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის აღნიშნულ საკითხებზე პასუხების გაცემა და ისევ პირის სამსახურს დაელოდეთო, თუმცა მათგან, არანაირი ზარი და შეტყობინება არ მიგვიღია. სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ 30 წელზე მეტი ხნის წინ, როდესაც ბორჯომს ბალნეოკურორტის სტატუსი ჰქონდა, ბალნეოლოგიურ სამკურნალო დაწესებულებებში და რაიონულ საავადმყოფოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალკვალიფიციური ექიმები მუშაობდნენ და ისინი არამარტო რაიონის, რეგიონისა თუ რესპუბლიკის, არამედ ქვეყნის უკრგლებს გარეთ იყვნენ ცნობილები და სწორედ მათ გამო ჩამოდიოდა სხვადასხვა ქვეყნიდან უამრავი ადამიანი, რათა შესაბამისი მკურნალობა ჩაეტარებინათ. სამწუხაროდ, დღეს ბევრი მათგანი გარდაიცვალა, ხოლო უმრავლესობა არასაკმარისი გასამრჯელოსა და არასათანადო პირობების უქონლობის გამო პარალელურად ცდილობს კერძო კლინიკებში მუშაობას და ნამდვილად სამწუხაროა, რომ ბორჯომის ,,ჯეოპოსპიტალში" სიტუაცია ისე მიდის, რომ კლინიკა მალე საერთოდ დახურვის პირას მივა და ბორჯომელ პაციენტებს სრულიად სხვა რაიონებში მოუწევთ სამედიცინო სერვისებით სარგებლობა.

პატარა მატარებლის სახელოვანი მემანქანე

ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანმა რკინიგზამ, XX საუკუნის დასაწყისიდანვე გაითქვა სახელი ჯერ რუსეთის იმპერიაში, შემდეგ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლომდე. მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩვენი ხეობის დიდი სიამაყის პატარა მატარებლის საქმეც უკან-უკან ნავიდა და ახლა, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ევროკავშირში შესასვლელად ემზადება, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზა ფაქტიურად, უფუნქციო დარჩა. მწყობრიდანაა გამოსული ელმავლები, ვაგონები, სადგურები, ლიანდაგები და განძილები (მპლები). როგორც გვითხრეს, რკინიგზა რომ მწყობრში მოიყვანონ, თურმე 60 ათასი განძილია (მპალი) საჭირო. ეკონომისტებს ყველაფერი დაუთვლიათ და ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის ინფრასტრუქტურის განახლებისათვის 100 მილიონი ლარი ყოფილა საჭირო.

ამ მწარე ფაქტების შესახებ არაერთხელ დაიწერა ჩვენს გაზეთში. სამწუხაროდ, არც საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას შეუწუხებია თავი გამოხმაურებისათვის და არც სხვა უწყებებს აუტეხიათ ვაიუშველებელი.

პატარა მატარებლის ასეთ სავალალო მდგომარეობის თაობაზე ჩვენზე ძალიან თვითონ ბორჯომის რკინიგზის დეპოს მუშა-მოსამსახურეები არიან შეწეხულები, რომლებიც ფაქტობრივად, უმუშევრები დარჩნენ. მათ შორისაა მემანქანე-ისტრუქტორი **იური თედიაშვილი**. იურის მამა ბატონი დიმიტრი ერთ-ერთი სახელოვანი მემანქანე იყო და პენსიაში გასვლამდე მემანქანედ მუშაობდა ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზაზე. იურიმ როგორც კი სკოლა დაამთავრა, 17 წლის ახალგაზრდამ დეპოში ზეინკლად დაიწყო მუშაობა. 1981 წლიდან მემანქანედ აკურთხეს. 50 წელი უავარიოდ ატარა პატარა მატარებელი ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიან დაკლაკლინ გზაზე. იურიმ ზეპირად იცის, რამდენი საძიში მოსახვევია ამ 35 კილომეტრიან მონაკვეთზე. უავარიო მუშაობისათვის მამა-შვილს არაერთი ჯილდო-პრემი, საჩუქარი და მადლობა ქონდათ დამსახურებული. იური კარგანახია ინსტრუქტორ-მემანქანეა, 67 წლის ხდება 27 აპრილს.

რამდენიმე ხნის წინ იური საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში ჩასულა, გამიუქმეთ ინსტრუქტორის წოდება, მაინც არ ვმუშაობო - უთხოვია უფროსებისათვის. ცივი უარით გამოუსტუმრებიათ, რას ამბობ, პატარა მატარებელს დიდი მომავალი აქვს და შენ რომ გაგანთავისუფლოთ, ინსტრუქტორების მომზადება ისევ ჩვენი თავში სახლელი იქნებაო.

იურის სახლში რა გააჩერებს, ხშირადაა დეპოში და დღემდე შენარჩუნებულ ელმავალს, რომელსაც ერთადერთ ვაგონში მსხდომი მუშები დაყავს ბაკურიანამდე, სისტემატიურად მიყვება, გული კვლავ პატარა მატარებლისაკენ მიუწევს, ვინძლო მისმა ოცნებამ ფრთები შეისხას და განახლებულ რკინიგზაზე კვლავ მიუჯდეს ელმავლის შტურვალს.

იურის შესახიბნავი ოჯახი აქვს, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი ეზრდება, სწამს, მის რკინიგზელთა ტრადიციულ ოჯახში კვლავ აღიზრდებიან ნარმატებული მემანქანეები.

ბედნიერი მოხუცებულობის წლებს და ოცნებების ასრულებას ვუსურვებთ ბატონ იური თედიაშვილს, ღირსეულ რკინიგზელს და პიროვნებას.

ვალერიან ლომიძე.

როცა მშობელი შვილს აღამიანად ზრდის

ამ სტატიით მინდა იმ მშობლების მისამართით მოვიქნიო ილიასეული „წკეპლა“, ვინც, უამრავი ლამაზი და საყვარელი პატარის მშობელია. დიდი სურვილი მაქვს (იმედს ვიტოვებ) ყურად იღონ, დაფიქრდნენ, გაიაზრონ ის, რაზეც ვწუხვარ და შემდგომში შესაბამის ქმედებებში პრაქტიკულად შეასრულონ ეს შეგონება.

მშობელი ხომ ყველაზე მნიშვენლოვანი ძალაა შვილის გაზრდა-აღზრდის პროცესში, რომლის გზაც საკმაოდ გრძელვადიანი, საპასუხისმგებლო და საინტერესოა. გაიფიქრებთ ალბათ, **„მშობლობა ბუნებრივია, მას სწავლა არ სჭირდებაო“,** მაგრამ ასე არ არის, ყოველდღე, ყოველ წამს უდიდეს შრომას მოითხოვს. თუმცა, ზოგი მშობელი თავადაა „გასაზრდელი“ და როგორ შეძლებს აღზარდოს ჰუმანური, ფსიქოლოგიურად სტაბილური და ძლიერი პიროვნება?!..

მე, თეატრშიც მიწევს მოღვაწეობა და რასაც ვაწყდები იქ, ის გულისტკივილი გამომაქვს ახლა მზის სინათლეზე...

სამწუხაროდ (ყველას არ ეხება), არც რიგითობის დაცვის, არც ჯდომის, არც მოსმენის, არც სხვისი გათვალისწინებისა და პატივისცემის... ღირებულებათა სისტემა გვაქვს მოშლილი, ელემენტარული ეთიკის ნორმები გვაქვს დასანერგი - მორალური პრინციპები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს და ამართლებდეს საზოგადოების მოლოდინებს...

სპექტაკლის დაწყებამდე, დარბაზში შემოსვლისთანავე მშობლების საყურადღებოდ ვითხოვთ, რომ მშობლები განლაგდნენ რიგის კიდეებში, რათა მათ უკან მსხდომ ბავშვებს არ ჩამოეფარონ. ერთი შეხედვით, როგორი მარტივია, ხომ? მაგრამ ბევრს ვერ ვაგებინებთ ჩვენდა გასაოცრად. როცა მშობლები გვერდიგვერდ ჩამწკრივებული სხედან, სხვები ფეხზე დგანან, ხომ უნდა მიხვდე, შე დალოცვილო, უთქმელადაც, რომ ადგე, უკან გადაჯდე და პატარას დაუთმო ადგილი?!...

ბავშვები ხომ ზუსტად იმეორებენ მშობლების ქცევას, სიტყვებს, რეაქციებსა და დამოკიდებულებებს. ამიტომაა, რომ ბავშვის ქცევა ხშირად ოჯახში მიღებულ ნორმებს ასახავს. რა თქმა უნდა, კონკრეტული ასაკის ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით. ბავშვს საკუთარი მაგალითით უნდა ვასწავლოთ მოყვასისადმი პატივისცემა, სიყვარული, სიკეთე, ზრუნვა. დამერწმუნეთ, ეს ჩვეულებრივ სიტყვებზე გაცილებით უკეთ იმუშავებს.

მაგალითისათვის მოვიყვან: იმ დღეს, ის-ის იყო იწყებოდა სპექტაკლი და პატარა ბიჭუნა შემოვიდა (დაწყებითი კლასის) ხელში ბუშტებითა და ზურგზე მოკიდებული დიდი ჩანთით (წიგნებიანი სკოლის ჩანთები ხომ ბავშვებზე დიდია, ძლივს რომ ერევიან, ეს ცალკე თემაა) - დედა მერე მოვაო - ამოილუღლუღა. მცდელობის მიუხედავად ადგილი პატარისათვის ვერსად რომ ვერ აღმოვაჩინე, იქვე, განაპირა სკამზე მჯდომ ოთხიოდე წლის გოგონას მივუსვი, ვთხოვე, მოგიჯდება-თქო. ბუშტები უმალ სკამის ქვეშ შევყარე და ზურგჩანთაც იქვე დაუდე. ამასობაში ბავშვებმა ერთმანეთს გაუღიმეს

და გამოელაპარაკნენ კიდეც. აბა, ფეხზე მდგომს ხომ არ დავტოვებდი, ან უკან ხომ არ გავაბრუნებდი, მშობლის გარეშე მოსულს. ამ დროს, რამდენიმე სკამის იქიდან წამოხტა გოგონას მშობელი პრეტენზიული გამოსვლით, - რატომ მიუსვით, მე იმიტომ შევიძინე ორი ბილეთი, რომ ჩემი შვილი ცალკე მჯდარიყოო. არადა, სკამები დარბაზში ფართოა და ორი ბავშვი თავისუფლად ეტევა. გავოგნდი მის ასეთ დამოკიდებულებასა და ნათქვამზე, - ადამიანი არა ხართ, ესეც ხომ ბავშვია-მეთქი, - სიბრაზე და წყენა ერთად შემერია... არ დაიხია მაინც, დაავლო თავის შვილს ხელი და კალთაში ჩაისვა.

- ეეჰ! **„ამპარტავნობა ის ყვავილია, რომლის ნაყოფიც თავხედობაა“.** მისგან განსხვავებით ღვთისნიერი მშობელი გამოჩნდა, დაუძახა და უკანა რიგში თავისი შვილის გვერდით მიისვა ფეხზე დარჩენილი ბიჭუნა. ის სავარძელი კი გადაჭედილ დარბაზში ცარიელი დარჩა. აი, არ მესმის, ასე როგორ არ უნდა გიყვარდეს უცხო (სხვისი) შვილი და სანამ გადაწყვეტ, როგორ მოექცე მას, მის ადგილას შენი შვილი როგორ არ უნდა წარმოიდგინო. - **„ათასჯერ რომ დაიბადოს ქრისტე იქ, თქვენ თუ ერთხელ მაინც არ შეგიტოკდათ გული აქ მოყვასისა გამო, ათასჯერ მოკვდება ქრისტე“**. დავესეხები გენიალურ ბესიკ ხარანაულს და - „შიგნით თუ არ არის ადამიანი, გარედან რას მიაშენებ“-ო. სწორედ ასეთი მშობლების გაზრდილი შვილები გამოვლენ მერე ისეთი უგულოები, სადისტები და ბარბაროსები, რომ თავისუფლად შეძლებენ მათთვის გასართობად გამოწყობილ ანიმატორის ფორმაში ასაფეთქებლის შეგდებას, როგორც მე გამიკეთეს ერთ წელიწადს. სხვა ბავშვს რომ არ დაეძახა, რომ არ მომეხსნა დროულად ის ვეებერთელა, მოუხერხებელი მინი მაუსის თავი, რომელშიც ვერაფერს ხედავ წესიერად, სული გეხუთება, ძლივს მოძრაობ, რა მოხდებოდა?! არასდროს დამავიწყდება იმ თავივით ვეებერთელა შიშის გემო, მოხსნამდე წამებში რომ ვიგემე იმაზე ფიქრით, ან ახლა ათეთქდება და თვალებს დავკარგავ, ან ახლა-თქო... არადა, ეს ხომ მათი თეატრში ყოფნის დროის გალამაზებისთვის იყო... ასეთი ბავშვი არა მხოლოდ ერთი ოჯახის, არამედ მთელი საზოგადოების ტრაგედიაა. თუმცა, ისეთი ბავშვებიც კარგად იკითხებიან სპექტაკლის ყურების დროს ამოთქმულ ამდაგვარ ემოციურ რეპლიკებში: - **„დედა რატომ მოუკლეს შველს ნუკრი?“ „ცოდო არ არის?“ „მარტოა ახლა“, „ცივა საბრალოს“, „გაიქეცი, მონადირეა, მოგკლავს!“, „დედა! შენ ხომ არ დამტოვებ მარტო?!“.. იყო ისეთიც, - „ხვალ ნემსს გაუკეთებენ და გაცოცხლდება“, „შენ ნუ იდარდებო“** - ამ სიტყვებით დამშვიდება რომ მოუწია მშობელს.

მშობლებო! ადამიანობა ასწავლეთ - შვილებს! სხვა ყველაფერი სისულელეა, უპირველესად თუ არ ექნებათ ეს! **„ის ნიადაგი, სადაც მცენარე მტაცებელი იზრდება, ცუდია. მცენარის ბრალი კი არაა, მწერებს რომ ხოცავს და ისე იკვებება, ნიადაგის ბრალია“.** ჰო! ჯერ თქვენგან უნდა ისწავლონ ის სიკეთე, ალტრუიზმი, ერთმანეთის მხარდაჭერა და ემპათია - სხვა ადამინების ემოციის თანაგანცდა, როგორც საკუთარი შეგრძნების და გაგების უნარი. სხვისი ემოციური მდგომარეობის გაგება ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ყველაფერს ისე აღიქვამენ და ახასიათებენ, როგორც თვითონ ხედავენ,.. ანუ არ შეუძლიათ დაინახონ და გაიგონ თუ რას გრძნობს, ან რას ხედავს სხვა. ამიტომ ეს უნარი ბავშვს უნდა გამოუმუშავდეს. ამისათვის მშობელმა სხვადასხვა აღზრდის მეთოდები უნდა გამოიყენოს. უნდა აუხსნას ბავშვს გამომწვევ ქცევასა და ემოციურ შედეგს შორის კავშირი (მაგ: გიორგი ცუდ ხასიათზე დადგა, როცა შენ არ მიისვი გვერდით). ზე-საზოგადოება ქმნის ზე-სახელმწიფოს!

ნუ დაანახვებთ ბავშვებს სიბრაზესა და მცირედ სიძულვილსაც კი. ყველაფერი სიყვარულით აკეთეთ, სიკეთეში, რომ კეთილმა მშობელმა კეთილი შვილი აღზარდოს. ასეთი ქცევის მოდელირებით სასიამოვნო შედეგებზე გახვალთ. ჯერ სახლიდან დაიწყეთ და შემდეგ საბავშვო ბაღი და სკოლაც იზრუნებს დადებითი ზეგავლენის მოხდენას მის ფსიქოლოგიაზე. მშობელი, რომლის აღზრდის სტილით ბავშვის იმთავითვე პიროვნებად ჩამოყალიბებაში სიყვარულისა და სითბოს მარცვლებს ჩაყრის - მოიმკის სოციუმის შემდგარ წევრსა და სრულფასოვან მოქალაქეს. ამრიგად, **„ადამიანის სახელოსნოში საზოგადოებას გამოიწრთვნება ღირსეული მომავალი თაობა“. „ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!“** - ეს იმ ვაჟა-ფშაველას სიტყვებია, რომლის დედა გულქანი არაჩვეულებრივად გულისხმიერი ადამიანი იყო. ერთხელ, ჩარგალში ბოშებს ჩამოუვლიათ სამათხოვროდ, ვაჟას დედას მანამდე ასე ჩამოძენძილი, შიშველ-ტიტველი ხალხი არ ენახა, უყურებდა თურმე ბოშების ფეხშიშველა ბავშვებს და იძახდა: ღმერთო, ეს რა საცოდაობა ვიხილეო. გაუტანია თავისი ახალი კაბები „ბეჩავებისთვის“ და ჩამოურიგებია. კიდევ,.. რაზიკაშვილების სახლის წინ ჩავლილ უცნობ მგზავრს ისე არ გაუშვებდა, რომ არ დაეპურებინა. რა გასაკვირია, რომ ასეთი დედის გაზრდილმა შვილმა დაწერა „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და ბევრი სხვა სიკეთით სავსე, გულისშემძვრელი ნაწარმოები.

ხარანაულს აქვს ნათქვამი: - **„ჩემი ცხოვრების მიზანი, პრინციპი და კრედო არის, თუ მისხლისოდენად მაინც შევძელი, - გულმოწყალება. ესაა, რაც მომწონს ადამიანშიც და სამყაროშიც“**. ასე ვარ მეც... მთელი ჩემი არსებობა ადამიანად ყოფნის მცდელობაა... ხოლო ღმერთისთვის ყოველდროს საევდრებელი - სამყოფი ადამიანობა...

ნანა კევლიშვილი

30 აპრილი ბიბლიოთეკარის დღეა!

ცხოვრება წიგნის გარეშე წარმოუდგენელია

ბიბლიოთეკა ყოველი ქვეყნის უძვირფასესი კაპიტალია, კაცობრიობის მთელი სიბრძნეა აქ თავმოყრილი, ადამიანთა მოდგმის საუკეთესო წარმომადგენელთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილ ცოდნას აქ სანიმუშო წესრიგით გვთავაზობენ.

ცხოვრება წიგნის გარეშე წარმოუდგენელია, იგი ადამიანის თანამგზავრია, ბავშვობიდან ღრმა სიბერემდე წიგნი მუდამ იქნება ადამიანის ინტელექტის და კულტურის ჩამოყალიბების, სამყაროზე მისი შეხედულებათა ფორმირების, შემეცნებისა და თვით სრულყოფის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

ბაკურიანში პირველი ქოხსამკითხველო 1946 წელს გაიხსნა. გარკვეული წლების შემდეგ იგი ქოხსამკითხველოდან საქალაქო ბიბლიოთეკად გადაიქცა დიდი წიგნადი ფონდით და აგერ უკვე 78 წელია კეთილსინდისიერად ემსახურება ადგილობრივ თუ ჩამოსულ მკითხველებს. ამ წლების განმავლობაში ჩვენს ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ ღირსეული მუშაკები: **ეკა შუბითიძე, თებრო ქელეხსაშვილი, ნინუცა კურტანიძე, ნუნუ გელცმანი, მერი ჩუბკო, ლეილა ცხოვრებაშვილი, გულო მიქაბერიძე, მანანა დიაკონაშვილი, მანანა ტებიევა, მარინა ხრიკაძე, ირმა კონსტანტინოვი, თამარ ნასყიდაშვილი.**

ბიბლიოთეკა ბევრი კულტურული ღონისძიების თაოსნობის და ინიციატივის სათავეშია, რისთვისაც მრავალი მადლობა და სიგელი დაუმსახურებია. გვყავს საკმაოდ ძლიერი აქტივი, რომლებიც გვეხმარებიან ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში. ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან: **თედორე სამსონიძე, ნათია ყარაულაშვილი, სოფო ხეთაგაშვილი, შორენა ჯანიაშვილი, რუსუდან სხირტლაძე, ნელი დეკანოსიძე, ლარისა და ეთერ ქიმერიძეები, ნანი კვანტალიანი, ომარ აბრამაშვილი, ზამირა არბოლიშვილი, ჟინვერ ქარსელაძე, ნანა მანჯავიძე, მაია ბაბუნიძე, ქეთევან ჯეირანაშვილი, ლელა ჩუტკერაშვილი, ია ბრეგვაძე და სხვები.**

ყოველწლიურად ვავლენთ წლის საუკეთესო მკითხველს და ვაჯილდოებთ სიგელით და სამახსოვრო საჩუქრებით. ეს წახალისება გვეხმარება მკითხველის მოზიდვაში.

ბიბლიოთეკარის შრომა რთული, ინტელექტუალური, პედაგოგიური შრომაა, ხოლო მისი სამუშაო წიგნი და ჟურნალ-გაზეთებია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ბოლო წლებში ბიბლიოთეკა სისტემატურად ივსება ახალი წიგნებით და პერიოდული პრესით, სამეურნეო და საკანცელარიო ნივთებით. ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურით კი ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად შევუწყოთ ხელი მკითხველს საჭირო მასალის მოგროვებაში.

თვეში ერთხელ ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ტარდება სემინარ-ტრენინგი, სადაც ვეცნობით საბიბლიოთეკო საქმიანობის სიახლეებს. ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი **ნაირა ამანათაშვილი** და მეთოდისტები **თინათინ რაზმაძე, ნანა ჩაჩანიძე** და სხვები ყურადღებით გვისმენენ და გვიხსნიან, თუ რა მეთოდებით წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 2015 წელს ბაკურიანის საქალაქო ბიბლიოთეკა მოხვდა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების პროექტში - **„საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისათვის“.** ეს ნოვაციაა, როცა ინარჩუნებ ძველს და ამატებ ახალს. დაინგრა საუკუნეს გადაცილებული ხის შენობა და მის ადგილზე აშენდა ორსართულიანი საზოგადოებრივი ცენტრის შენობა, რომლის მეორე სართულზე განლაგდა ბიბლიოთეკა მყუდრო გარემოთი და სრული კომფორტით.

ყოველი წლის აპრილის ბოლოს ტარდება საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც დატვირთულია სხვადასხვა ღონისძიებებით. 30 აპრილს დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა „ლექსის აკვანის“ მეცამეტე ტომის ბაკურიანელ თანაავტორებთან, რომელთა ლექსებიც შესულია ამ კრებულში.

ვულოცავ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს პროფესიულ დღესასწაულს, ვუსურვებ მკითხველთა სიმრავლეს და წარმატებებს პირად ცხოვრებაში. თითოეულ მკითხველს კი ვუსურვებ კვლავაც აქტიურად ჩაერთონ წიგნების კითხვაში. წიგნის სიყვარული ხომ მაღალი კულტურის მაჩვენებელია, აზრისა და გრძნობის სიბრძნეა, სამყაროს პოეტური აღმოჩენა და ესთეტიკური სიამოვნებაა.

დარეჯან ბარამელი,

ბაკურიანის საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე

ვულოცავთ!

ჩვენს უსაზღვროდ თბილსა და მოსიყვარულე ქალბატონს, სოფლის დიდ ქომაგსა და მზრუნველს, გულისხმიერსა და გულმართალ

ფატი კურტანიძეს

დაბადების 85 წლის იუბილეს.

დღეგრძელობა, სითბო და სიყვარული მოგმადლოს უფალმა ჩვენო გულმართალო, სპეტაკო და სამართლიანო ფატი.

იცოცხლე, მრავალჟამიერ! შენს ლამაზ ოჯახთან - შვილებსა და უსაყვარლეს შვილიშვილებთან ერთად. ამინ!

ხარ გულმართალი და პირდაპირი,
გძულს გაიძვერა, ფლიდი, ორპირი,
ნაღდი, გულწრფელი მამულიშვილი,
თავისუფლად და მხრებგაშლილი,
შენი სუნთქვა, შენი ფიქრი,
დასტრიალებს შენ სამ სოფელს.
ღმერთმა მოგცეს ჯანი-ღონე,
ჰაერივით გვჭირდება, იცი ნაღდად,
უანგაროდ გვემსახურო,
მუდამ მზად ხარ.
აგხდენოდეს ყველა ნატვრა,
სიყვარულით შემოგვყურებს
დიდ-პატარა,
დაბადების დღეს გილოცავთ,
მზეგრძელობდე,
დღეგრძელობდე,
ღმერთს სწირავდე
სამადლობელს,
ქვეყნის წინსვლას უმღეროდე!
ამინ!

დიდი სიყვარულით
ოლიპ თოფურიანი.

ჩვენო კეთილო და სამართლიანო ფატი შენს დიდ სამეგობროსა და სამეზობლოსთან ერთად გილოცავთ დაბადების 85 წლის იუბილეს, იცოცხლე და იდღეგრძელე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად და შენს პატივისმცემელ ხალხთან ერთად.

შენი უახლესი სამეგობროს სახელით: ლია, ალეკო, ლელა, მარიკა, მადონა, ზვიადი, კლარა, ნატო, ნანა, ნინო.

თვითონ ნუ იქებ თავსაო...

თავის თავის მქებელია, ვინც ბრიყვი და რეგვენია

თვითონ ნუ იქებ თავსაო,
ქება რად უნდა კარგსაო,
ისე ვით ლამაზ ყვავილებს,
იასამანს და ვარდსაო.
თუკი მართლა საქები ხარ,
ყველა გალმერთებს კაცსაო,
და თუ არაფრის ღირსი ხარ,
ყველა გარიდებს თვალსაო.
ქუნცელის ბრძნული სიტყვები
გთხოვთ დაიხსომო კარგადა,
ეკლად შობილი, გაზრდილი
ვერ გარდიქმნები ვარდადა.
ეკალი, ეკლად დარჩები,
თვალს ვერ აუხვევ ხალხსაო,
პირიქით, თავის ქებითა
უფრო წაიხდენ თავსაო.
ჭკვიანი კაცი არასდროს
არ აქებს თავის თავსაო,
თავისი თავმდაბლობითა
ისედაც უყვარს ხალხსაო.

გურამ ქუნცელი-ივანიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის წევრი.

მეტი დაფიქრება გვმართებს!

მერამდენედ შეიძლება აღნიშნულ პრობლემაზე ვწეროთ, თუმცა რომ არ ვთქვათ ეს უფრო უარესი დანაშაული იქნება ადამიანების მიმართაც, რომლებიც ჩემ მსგავსად იმ დიდ პრობლემაზე, რომელზეც ახლა ვისაუბრებ ხშირად აღნიშნავენ და საშველი მაინც არა და არ დაადგა. მოკლედ, ჩვენ პატარა ქალაქში თითქმის ყოველდღიურად შენიშნავთ საოცარი სისწრაფის მოყვარულ მძღოლებს, რომლებსაც თავი აშკარად ავტორბოლაში ჰგონიათ და საკმაოდ დიდ სივრცეზე დახაზული ზებრა გადასასვლელი მათთვის სრულიად უჩინარია. მე პირადად, ის უფრო მიკვირს ყველაზე მეტად, რატომ იგდებენ მძღოლები თავს საფრთხეში და სხვისი სიცოცხლეც არაფრად მიაჩნიათ, როდესაც ძალიან კარგად იციან, დილის 9 საათზე ყველა სკოლაში სასწავლო პროცესი იწყება და ისეთი სიჩქარით მოძრაობენ, რომ ქვეითად მოსიარულეს მართლა უფლის იმედად უწევს გადასვლა. რატომ უნდა გვეშინოდეს მშობლებს, რომ შვილი დამოუკიდებლად გავუშვათ ქუჩაში ან სკოლაში? მე პირადად ჩემ შვილებს ვერ ვუშვებ (უმცროსებს მითუმეტეს) და შიში კიდევ უფრო მეტად მიმძაფრდება, როდესაც პირადად შევსწრებივარ ქალაქის ცენტრში ალალბედად გადარჩენილ ქვეითად მოსიარულეებს. მთელი ზაფხული იმაში ხედავდით პრობლემას, რომ გზებზე ზებრა გადასასვლელები არ იყო, მაგრამ რამდენი თვეა უკვე ისეთი ვრცელი ზებრა გადასასვლელები დახაზეს ქუჩებზე, ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო და თუ ბრმა ხარ, მაშინ საჭესთან რატომ ზიხარ? ცოტა ხნის წინათ, სოციალურ ქსელში წავაწყდი ვიდეოს. ერთ-ერთ ქვეყანაში ზებრა გადასასვლელებთან დამონტაჟებულ პატარა მინიატურულ ყუთში აგური დევს, რომელსაც ქვეითად მოსიარულე ხელში იღებს და ისე გადადის გზაზე, თანაც ეს აგური მძღოლის დასანახად უჭირავს და ყველა ურჩი მძღოლისათვის აღნიშნული აგური არის ნიშანი იმისა, რომ მათი ერთი არასწორი ქმედება და აგური მისი მანქანის მისამართით იქნება გამოყენებული... ხუმრობა იქით იყოს და ჩვენი მძღოლებიც ისე იქცევიან, რომ თუ დროულად გონს არ მოეებიან, აღნიშნული იდეა ჩვენთანაც ნამდვილად დასანერგია. ჰოდა, აგურისა რა მოგახსენოთ და ბორჯომის მოსახლეობას რიყის ქვებით სიარული მაინც არ გაგვიჭირდება. მშვიდობიან დღეს გისურვებთ!

გიყვარდეთ საკუთარი თავი და დააფასეთ სხვისი სიცოცხლეც!!!

ნატო მელიქიძე

შეხვედრა „თორელების“ გამარჯვებით დამთავრდა

ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონზე, იმერეთის რეგიონალური საფეხბურთო ჩემპიონატის ფარგლებში, ბორჯომის სასპორტო სკოლის გუნდი „თორი“ და ქუთაისის საფეხბურთო გუნდი „ტორპედო 2“ დაუპირისპირდნენ. შეხვედრა თორელების გამარჯვებით, ანგარიშით 3:0, დასრულდა.

მატჩს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი;** კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე **მამუკა ლურსმანაშვილი**, საკრებულოს დეპუტატები, სასპორტო სკოლის დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე** და ადგილობრივი გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ულოცავს სასპორტო სკოლასთან არსებულ საფეხბურთო გუნდ ,,თორს"“ გამარჯვებას.

მზადაა დახმარებისათვის!

„სოკარის“ თანამშრომლების ოპერატიულად მუშაობის ამბავს გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია რამდენჯერმე შეესწრო. ცხელ ხაზზე დარეკვისთანავე რამდენიმე წუთში ადგილზე გამოცხადდნენ და გულდასმით შეამოწმეს გაზის გამათბობელი, რომელიც ხშირად მექანიკურად ქვრებოდა და გვითხრეს, რომ განმეორების შემთხვევაში ისევ დაგვერეკა მათთან.

გამათბობელი სრულიად უსასყიდლოდ გაწმინდა გიორგი ბითაძემ, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას, არამარტო ჩვენთან, არამედ ბევრი ბორჯომელის ოჯახშიც, ბევრჯერ გაზის გამათბობლები საკუთარი სახსრებით შეუკეთებია, ოჯახს კი ახალი გამათბობლის შესაძენად მოსაძიებელი თანხა დაუზოგავს.

მის პატარა ვაჟკაცს დავით ბითაძეს, რომელსაც კარგად ვიცნობ, ხშირად უთქვამს სიამაყით, მამის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

ასეთი ადამიანების დაუზარელი შრომა, სამაგალითოა არა მხოლოდ შვილებისათვის, არამედ საზოგადოებისათვის. უბრალოდ და უხმაუროდ ასრულებენ მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეულები, ღირსეული ადამიანები თავიანთ საქმეს. სიკეთეს თესენ და სამაგიეროდ არაფერს ელიან.

ვიმედოვნებ, ჩემი პატარა წერილით არ გავანაწყენებ ამბის მთავარ მოქმედ პირს, რომელიც ნამდვილად იმსახურებს მისი ქმედებებით ფაქტის აღნიშვნას, თუ როგორ უნდა აკეთო საქმე, რომელზეც იღებ პასუხისმგებლობას.

რთულია, როდესაც რედაქციაში გიწევს მისვლა ჟურნალისტებთან და მათ არ შენიშნონ, პიროვნების დამოკიდებულება და გულით შესრულებული სამუშაო. ჩვენს თავზე გამოვცადეთ, რომ ყოველთვის მზად ხართ მოქალაქეების დახმარებისთვის.

იზა იანვარაშვილი

22 აპრილს დედამიწის დღეა

„პლანეტა პლასტმასის წინააღმდეგ“

22 აპრილს დედამიწის დღე აღინიშნა, რომლის მიზანიც გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად საზოგადოების გაერთიანებაა.

დედამიწის დღე ყოველწლიურად ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით გამოწვევებზე. წელს დედამიწის დღის თემაა **„პლანეტა პლასტმასის წინააღმდეგ“** და მოუწოდებს საზოგადოებას შეამციროს პლასტმასის გამოყენება.

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიურად ასუფთავებდნენ ბაკურიანი-წაღვერის გზასა და გზის მიმდებარე ტერიტორიას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან.

პრობლემების გადაწყვეტაში დაგეხმარებათ!

ძველ ებრაულ იგავში ფერმერს ჭაში ჩაუვარდა ვირი. სანამ ფერმერი ფიქრობდა რა გაეკეთებინა, ცხოველი საათობით საცოდავად ყროყინებდა. საბოლოოდ, მიიღო გადაწყვეტილება. რადგან ვირი უკვე ბებერი იყო, ფერმას ვერ ადგებოდა და ჭაც, დიდი ხნის წინ დამშრალიყო, დაუძახა მეზობლებს დასახმარებლად და ერთდროულად ორი საკითხის გადაეჭრა სთხოვა: ამოევსოთ ჭა და ამავე დროს, ვირი დაემარხათ.

მეზობლებმა მოიმარჯვეს ნიჩბები. ვირი მაშინვე მიხვდა რაც ხდებოდა და ხმამაღლა დაიწყო ყვირილი. მერე, უცებ ყველას გასაკვირად გაჩუმდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ფერმერმა გადაწყვიტა, ჩაეხედა ენახა რა ხდებოდა და ფრიად გაოცებული დარჩა ნანახით. ვირი წარმოუდგენელ რაღაცას აკეთებდა: თავზე და ზურგზე ჩამოვარდნილი ყოველი მიწის გროვას ვირი იბერტყავდა, ტკეპნიდა და ზედ დგებოდა.

სანამ ფერმერის მეზობლები აგრძელებდნენ ჭაში მიწის გადაყრას, ყოველ ჯერზე ცხოველი ზემოთ იწეოდა. ძალიან მალე ყველას გაუკვირდა, როცა დაინახეს, როგორ ამოძვრა ვირი, გადაახტა ჭის პირს და გიჟივით, თავქუდმოგლეჯილი გავარდა!

ცხოვრებაში უამრავ განსაცდელს შეხვდებით და ყოველ ჯერზე ბედი სულ უფრო ახალს გიგზავნით. ამიტომ ჩამოიბერტყეთ მხრებიდან განსაცდელიო, ცილისწამება და პატიოსნად იცხოვრეთ. ყოველი პრობლემის დადებითად გადაწყვეტა შესაძლებელია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ გაჩერდებით და არ დანებდებით, შეგიძლიათ ამოხვიდეთ ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე ღრმა „ჭიდან“.

დრო ჩვენ სასიკეთოდ არ იცვლება!

- **ჩვენ დროში სახლების ზომა გაიზარდა, მაგრამ ოჯახები დაპატარავდა.**
- **მედიცინა განვითარდა, მაგრამ ჯანმრთელობა გაუარესდა...**
- **ჩვენ მთვარეზე გავფრინდით, მაგრამ მეზობლები დაგვავიწყდა...**
- **ქონება მოგვემატა, მაგრამ სიმშვიდე დავკარგეთ...**
- **ნაცნობების რიცხვი გაიზარდა, მაგრამ ნდობა და ერთგულება შემცირდა...**
- **აღრე სახლები თიხის იყო, მაგრამ ადამიანების გულები ოქროსი, ახლა კი სახლები ოქროსია,**
- **ხოლო ადამიანების გულები ქვის...**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე